სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზია და რადიოს

დირექტორის საქმიანობის

ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2022 წლის

პირველი კვარტალი

01/01/2022-31/03/2022

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის შეესაბამის ნორმების საფუძველზე, ისე რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელია.

შესავალი

წარმოგიდგენთ 2022 წლის პირველი კვარტალის (იანვარი, თებერვალი, მარტი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიაზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

<u>ჩვენი წინასწარი დაგეგმვა</u>

2022 წლის პირველის კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

გაზაფხულის სეზონისათვის მზადება;

ტექნიკის შეძენა;

თბილისის ბიუროს ინფასტრუქტურის საკითხებზე მუშაობა;

<u>კვარტლის მიღწევა</u>

ახალი ამბების სამსახურს დაემატა დილის 10(ათი) საათიანი საინფორმაციო გამოშვება,რომელშიც ძირითადად მოცემულია გასული ღამის ნიუსები და დღის განმავლობაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ამბების ანონსი. აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელმა განცხადებით მიმართა EBU-ს გაერთიანებაში გაწევრიანებაზე, რომელზედაც ველოდებით პასუხს, ასევე პირველ კვარტალში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები როიტერის მომსახურების შესყიდვაზე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მათ მიერ შემოთავაზებული თანხა მოლაპარაკების ეტაპზე გაცილებით

შემცირდა, რის გამოც ვფიქრობთ მეორე კვარტალში მოვახდინოთ როიტერის მომსახურების შესყიდვა. აქვე დავძენთ, რომ დადებულია ფილმების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, წინა წელთან მიმართებაში გაცილებით ნაკლები ღირებულებით.

<u>კვარტლის გამოწვევა</u>

უკრაინაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო ყოველდღიურად მაუწყებლის ეთერში 22:00 საათზე სპეციალური გამოშვება ეთმობა სწორედ ომის თემის გაშუქებას, სტუმრებითა და სპეციალური ჩართვებით.

„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ორიენტირებული იყო კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხებზე. ვცდილობდით გაგვეშუქებინა მთავარი გამოწვევები, აღნიშნული პერიოდი მაუწყებლის მიერ გამოყენებული იქნა რამოდინიმე სავარაუდო ახალი პროექტების მომზადების თვალსაზრისით. ეთერში ჩაეშვა ორი სატელევიზიო პროექტი - საავტორო შემეცნებით გასართობი თოქ-შოუ „მსხალი“ და საავტორო გადაცემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი“

ტელევიზია-შედეგები:

მაუწყებელი აშუქებდა ბათუმში შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდს. ახალი ამბების სამსახურს დაემატა უცხოეთის ამბების გაშუქების მხრივ ადამიანური რესურსი, რაც გამოშვებებს უფრო საინტერესოს ხდის.

რადიო-შედეგები:

გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს მოამბესთან გარე შესყიდვების წესით „ბათუმური დღიურების“ ახალი სეზონის წარმოებაზე. გადაცემამ საკმაოდ დიდი დადებითი გამოხმაურება მოიპოვა როგორც რადიო მსმენელებში, ასევე სოციალური ქსელის მომხმარებლებში.

ინტერნეტი-შედეგები:

- სამსახურის დებულების თანახმად, ვებგვერდზე და სოცქსელებში აიტვირთა ეთერში გასული გადაცემები, რომელიც შემოქმედებითი სამსახურის მიერ იქნა მომზადებული ტელევიზიასა და რადიოში;
- ვიდეო მასალები დახარისხდა და პარალელურად აიტვირთა მაუწყებლის youtube არხზე;
- ფბ გვერდზე გაზიარდა გადაცემების ანონსები;
- აიტვირთა მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომები.

- ტვ გადაცემების ფბ გვერდებზე - „ეს შუადღე“, „არტ-ექსპერტი“, „ვემსახურები საქართველოს“, „სახალხო კონტროლი“ და ‘’ბუნების კანონი’’ დაიჭრა და განთავსდა დამოუკიდებლად კონტენტი;

გადაცემების ფეისბუქ გვერდების მონაცემები /შიდაკონკურენცია/

გთავაზობთ მოქალაქეების ინტერაქციის (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები) მიხედვით კვარტლის მონაცემებს:

1. მიმდინარე კვარტალში, ლიდერობა დაიბრუნა და ყველაზე აქტიური აუდიტორია ჰყავს „ერთი დღე სოფელში“. ბევრი კომენტარი, შეფასება, ემოცია თუ გაზიარება მაუწყებლის გადაცემებს შორის, სწორედ მას ჰქონდა. გვერდს 57 ათასამდე ფოლუერი ჰყავს, ამ კვარტალში ამ გვერდზე 40 ათასამდე ადამიანის კომენტარი, ემოცია და გაზიარება ჰქონდა. ვიდეოების ნახვები კი საერთო ჯამში 489 ათასს შეადგენს.
2. მეორე ადგილზე ინტერაქციის კუთხით „ვემსახურები საქართველოს“ გვერდია, 22 500 მდე ემოცია და გაზიარება ჰქონდა გადაცემის მასალებს. 21 ათასამდე გაიზარდა გვერდის ფოლოუერების რაოდენობამ. თუმცა, ის ლიდერობს ვიდეოების ნახვების მაჩვენებლით. ამ გვერდის ვიდეოების ნახვებმა 706 ათას გადააჭარბა.

3. მესამე ადგილზე ინტერაქციის მიხედვით, „დილის ტალღაა“. გადაცემას 30 ათასამდე ფოლოუერი ჰყავს. 17 ათასი ადამიანის რეაქცია იყო ამ გვერდის მასალებზე. თუმცა, ვიდეოები 639,498 ადამიანმა ნახა. ყველაზე პოპულარულ ვიდეოს „არსენა სურმანიძე უკრაინის ქალაქ კახოვიდან გვიყვება რა ვითარებაა ქალაქში“ – 188 ათასზე მეტი ნახვა და 6 ათასზე მეტი კომენტარი ჰქონდა.
4. მეოთხე ადგილზეა „ეს შუადღე“, რომლის დინამიკაც მზარდია. ფოლოუერების რაოდენობა 10 ათასამდე გაიზარდა, ინტერაქცია 7000 -ზე მეტი იყო. დიდხნიანი წყვეტის შემდეგ, მზარდი დინამიკა აქვს. საერთო ჯამში ვიდეოები 306,780 ნახა.

ამ სქრინში მოცემულია გადაცემების რეიტინგი ფბ მომხმარებლების ჩართულობის მიხედვით.

5. 

გადაცემების გვერდებზე განთავსებული ვიდეოების ყურების რაოდენობა

ამ სქრინზე კი ნახავთ გადაცემების რეიტინგებს დადებული ვიდეობის ნახვების მიხედვით. აღსანიშნავია არტ ექსპერტის მზარდი დინამიკა, მას მხოლოდ 2 000 მდე მიმდევარი ჰყავს, თუმცა ვიდეოების ნახვებმა 32 ათასი შეადგინა.

01/01/2022 - 04/05/2022 Go

Page Name	Total Interactions	Interaction Rate	Avg. Posts Per Day	Views on Owned Videos	Page Followers	Growth % and #
Average Total	21,842.44	0.521%	4.09	351,284.69	29,814.13	+6%
აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი	241,834	0.029%	52.7	2.98M	165,973	+3.28% +5,275
ვემსახურები საქართველოს	22,591	2.27%	0.53	706,473	21,187	+14.18% +2,632
დილის ტალღა / Dilis Talga	17,641	0.317%	2.09	639,498	29,242	+5.85% +1,617
ერთი დღე სოფელში	40,588	1.607%	0.48	388,484	57,513	+5.26% +2,876
ეს შუადღე . Ajara TV	7,074	0.441%	1.77	306,780	9,969	+9.68% +880
ჰეშთეგი / Hashtag	3,848	0.079%	0.79	194,044	66,126	+0.25% +165
ZOOM განათლებაზე	3,785	0.504%	0.59	130,804	14,278	+12.29% +1,563
დილის რადიო	4,490	0.219%	3.88	110,494	5,709	+8.70% +457
მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri	3,205	0.6%	0.1	75,298	60,197	+2.87% +1,681
სპორტკლუბი / SportClub	3,046	0.236%	1.61	44,147	8,652	+4.39% +364
ART ექსპერტი / ART Expert	895	0.899%	0.63	32,038	1,788	+15.50% +240
ბუნების კანონი	324	0.487%	0.07	10,955	9,816	+8.19% +743
იმპულსი • Impulsi	73	0.056%	0.13	1,780	10,814	+0.37% +40
უცხო ხუნელი	13	0.142%	0.01	—	9,199	+1.58% +143
ბიბლიოთეკა	53	0.146%	0.06	—	5,553	+3.25% +175
თეთრი კვადრატი / White Quadrat	19	0.298%	0.06	—	1,010	+0.40% +4

აღსანიშნავია, რომ ფბ მთვლელი, ერთ ნახვად თვლის ნებისმიერი სახის ვიდეოს გახსნას - 3 წამიანსაც და 1 წუთზე მეტსაც.

სიუჟეტები, რომლებსაც ამ კვარტალში ყველაზე მეტი ნახვა აქვთ.

დილის დალღის ამ სიუჟეტს, ყველაზე მეტი ნახვა ჰქონდა შემოქმედებითი გადაცემების ნაწილში .



188 ათასზე მეტი ნახვა, 7 ათასამდე ემოცია და 600 გაზიარება.

მეორე ადგილზე დილის რადიოს გვერდის მასალა გავიდა.

პოპულარული იყო დილის ტალღის და ეს შუადღის სიუჟეტები.



აქტიური მაყურებელი ჰყავდა დინამო ბათუმის თამაში პირდაპირ ეთერს და საახალწლო კონცერტს



მაუწყებლის ფბ მთავარი გვერდი და კონკურენტი არხები

ვფიქრობ, ინტერაქციის ნაწილში მაჩვენებლების შემცირება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება. ამ კვარტალში, მაუწყებელის მთავარი გვერდი, საავტორო უფლებების დარღვევის გამო, პირდაპირი ეთერი ძალიან ბევრჯერ დაიბლოკა. /მთავარი, სპორტ კლუბი, სპორტული ღონისძიებების ლაივები./

აუდიტორიის ჩართულობა ფბ მთავარ გვერდზე
კვარტლის მონაცემებით, აჭარის მაუწყებლის მთავარ გვერდზე აუდიტორიის ჩართულობა **235,654 იყო, გასულ კვარტალში ეს ციფრი 100 ათასით მეტი იყო** (335 ათასი).

აღსანიშნავია, რომ წინა კვარტლის ინტერაქციის ზრდა ბათუმში 7 სართულიანი სახლი ჩამონგრევას უკავშირდება.



მაუწყებლის YOUTUBE არხი
Youtube გვერდზე აქტიურად მუშაობა 2020 მარტში დავიწყეთ, რადგან საიტზე ვიდეოების განთავსება, Youtube-ის მეშვეობით ხდება.

ერთის მხრივ, ამ გადაწყვეტილებით აჭარის მაუწყებლის ციფრულ არქივს ვქმნით, მსოფლიოში ყველაზე სანდო პლატფორმაზე. მეორეს მხრივ, ვზრდით აუდიტორიის ხელმისაწვდომობას ამ პროდუქტებზე. ამასთან, ეტაპობრივად ვზრდით ჩვენს მომხმარებლებს ამ არხზე.

ამ კვარტალში გაიზრადა მიმდევრების რაოდენობა და სულ 17 595 გვყავს. გასულ კვარტალში მაუწყებლის ვიდეოების ნახვების საერთო ჯამი 513 225 იყო, ამ კვარტალში 270 ათასი ნახვით გაიზარდა.



ყველაზე ნახვადი ვიდეოები იუთუბის არხზე „სახალხო კონტროლის“ გადაცემებია, ასევე, „ვემსახურები საქართველოს“ და „მე ვარ ფერმერი“.

2022 წლის პირველ კვარტალში მსოფლიოში არსებული ვითარებიდან (რუსეთ უკრაინის ომი) გამომდინარე ახალი ამბების სამსახური მუშაობს საგანგებო რეჟიმში. ახალი ამბების სამსახურში დაემატა დილის 10(ათი) საათიანი საინფორმაციო გამოშვება,რომელშიც ძირითადად მოცემულია გასული ღამის ნიუსები და დღის განმავლობაში დაგეგმილი მნიშვნელოვანი ამბების ანონსი. ასევე, უკრაინაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო ყოველდღიურად მაუწყებლის ეთერში 22 საათზე სპეციალური გამოშვება ეთმობა სწორედ ომის თემის გაშუქებას, სტუმრებითა და სპეციალური ჩართვებით. აღნიშნულ პერიოდში ორჯერ უკრაინაში მივლინებით იმყოფებოდა გადამღები ჯგუფი, რომელიც ინტენსიურად გვაწვდიდა მასალას. რაც ძალიან გვეხმარებოდა არსებული ვითარების სრულყოფილად გაშუქებაში. ასევე ახალი ამბების სამსახურში დაგვემატა უცხოეთის ამბების გაშუქების ადამიანური რესურსი, რაც გამოშვებებს უფრო საინტერესოს ხდის. თუმცა ამ ნაწილში კვლავ გამოწვევად რჩება, რომ მაუწყებელს არ აქვს წვდომა ,,როიტერსა“ და მასთან გათანაბრებულ საინფორმაციო სააგენტოებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას და ლიცენზირებული ვიდეო მასალის მოწოდებას. ამ უკანასკნელის გამო ხშირად საინფორმაციო გამოშვებების ფეისბუქ ლაივები იბლოკება.ზემოთ აღნიშნულთან ერთად მაუწყებელი აშუქებდა ბათუმში შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდს. მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, კანდიდატები არ ეწეოდნენ აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას. თუმცა ხშირი იყო განცხადებები ურთიერთ ბრალდებებით, რაც ცხადია მოითხოვდა ობიექტურ და ოპერატიულ გაშუქებას. აღნიშნული პერიოდი ახალი ამბების სამსახურისთვის იყო ძალიან დატვირთული,ხშირად გვიწევდა ზეგანაკვეთური მუშაობა. ახალი ამბების ობიექტივს მიღმა არ დარჩენილა არც ერთი აქტივობა, როგორც პოლიტიკური ასევე სოციალური თუ კულტურული. ტელევიზიის პარალელურად რადიოს ახალი ამბების სამსახური მუშაობდა საგანგებო რეჟიმში. ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, სტუდიის რემონტის გამო, გვიწევს ე.წ. ზედა სტუდიიდან მაუწყებლობა, რამაც შექმნა დამატებითი ტექნიკური პრობლემები. წლის ამ პერიოდშიც, გრძელდებოდა თანამშრომლობა ამერიკის ხმასთან. გამოწვევა:ტექნიკური გადაიარაღება ისევ მთავარი გამოწვევაა, როგორც ცენტრალურ ოფისში ისე ბიუროებში. ხშირად საინფორმაციო გამოშვებებში და ასევე თოქშოუებში სტუმრების ჩართვა დაკავშირებული იყო ტექნიკურ პრობლემებთან. პირდაპირიჩართვის აპარატების რაოდენობა არის მწირი და არსებული ე.წ. ლაივუებიც ხშირად გამოდის მწყობრიდან. რაც, როგორც სტუმრების ჩართვას, ასევე ჟურნალისტებისმიერ ახალი ამბების დროულ მოწოდებას მნიშვნელოვნად აფერხებს. ახალი ამბების სამსახურში დისციპლინასთან არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, დოკუმენტურად აღწერილია პროდიუსერების მიერ განმარტებით ბარათებში.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2021 წლის პირველი კვარტალის აქტივობების ანგარიში.

- თებერვლის თვეში ჩატარდა კონკურსი მექანიკური პროდუქციის (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმები) შეძენის თაობაზე. კომისიის მიერ შემუშავდა კრიტერიუმები, მიმდინარეობდა პროდუქციის შერჩევა. გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ენ რეკორდსი“-თან;

- ეტაპობრივად მექანიკური პროდუქციის მიღება, შემოწმება და ეთერში განთავსება;

- საავტორო გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;

- ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაქტისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;

- შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო აქტივობა: ცესკო-ს მიერ მოწოდებული რგოლების განთავსება, მარეგულირებელი კომისიისთვის ინფორმაციის (გაწეული მომსახურება, ფასები, ყოველკვირეული პროგრამა) მიწოდება, საიტზე ატვირთვა;

- ბრენდირებული ნივთების შეძენა:
- ლაითბოქსის დიოდები და ფირები;
- სანავიგაციო აბრები;
- ბრენდირებული ქოლგები;
- ბრენდირებული საზაფხულო ჩანთები;
- ბრენდირებული ყოველდღიური ბლოკნოტები;
- 2022 ბრენდირებული კედლის კალენდრები;
- გადაცემისთვის "ერთი დღე სოფელში" ბრენდირებული მაისური: 8 (რვა) ცალი (5 (ხუთი) მოკლე სახელოთი, 3 (სამი) გრძელი სახელოთი);
- გადაცემისთვის "ერთი დღე სოფელში" ბრენდირებული ზურგჩანთა: 1(ერთი) ცალი;

- გადაცემისთვის "ერთი დღე სოფელში" ბრენდირებული წინსაფარი: 2(ორი) ცალი;
- ბრენდირებული სამკერდე ბროშები (უკრ დროშის ვიზუალით);
- ლაითბოქსის ბრენდირებული ფირები (უკრ დროშის ვიზუალით);
- გადაცემისთვის "მსხალი" მაისურები მწვანე/ყავისფერი, 8 (რვა) ცალი;
- გადაცემისთვის "მსხალი" ბრენდირებული ჰუდი (ყვითელი), 4 (ოთხი) ცალი;
- გადაცემისთვის "მსხალი" ბრენდირებული ჰუდი (ლურჯი), 3 (სამი) ცალი;
- ბრენდირებული დროშა ფლაგშტოკით ;
- 34(ოცდათოთხმეტი) ერთეული ბეიჯი თანამშრომლებისთვის (დაზიანებულის გამოცვლა + ახალი თანამშრომლებისთვის) ;
- ბრენდირებული სტიკერი წარწერით PRESS, ზომა - 30/10 სმ-ზე.

- ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება;

- 5 (ხუთი) კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 14 764 ლარს;
- მონიტორინგის სამსახურისთვის მოთხოვნისამებრ გადაცემების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;
- საინფორმაციო სამსახურთან ერთობლივად ვაწარმოეთ მოლაპარაკება როიტერის წარმომადგენელთან 2-კვირიანი უფასო პაკეტის (უკრაინის თემა, საერთაშორისო ამბები) გამოსაყენებლად;
- პირველ კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილები:

- საახალწლო კონცერტების პირდაპირი ჩვენება;
- იანვარი-თებერვალი პირდაპირი ფორმატის გადაცემების „დილის ტალღა“-ს და „ეს შუადღე“-ს ზოლების ჩანაცვლება მექანიკური პროდუქციით;
- განთავსდა ბათუმის სახ. უნივერსისტეტის დოკუმენტური ფილმი „ბათუმის უნივერსიტეტი“;
- 17 იანვრიდან ბადეში განახლდა პოლიტიკური თოქ-შოუები;
- 24 თებერვლიდან ბადეში დაემატა 10.00 და 22:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვებები შაბათი, კვირის გარდა;
- განთავსდა 3 არტი რუსეთ-უკრაინის ომის თემატიკით;
- სტუდიის რეკონსტრუქციის გამო შეჩერებული პირდაპირი ფორმატის გადაცემები („დილის ტალღა“ და „ეს შუადღე“), განახლდა თებერვალში („დილის ტალღა“ 19 თებერვლიდან და „ეს შუადღე“ 28 თებერვლიდან);
- 6 მარტიდან ბადეში განთავსდა ყოველკვირეული გადაცემა „მსხალი“;
- ფეხბურთის პირდაპირი ტრანსლაციები - ეროვნული ლიგა;

დანართი N2: პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი;

<u>რადიო-შედეგები და საჭიროებები;</u>

2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, მიმდინარე სააანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს მოამბესთან გარე შესყიდვების წესით „ბათუმური დღიურების“ ახალი სეზონის წარმოებაზე. გადაცემამ საკმაოდ დიდი დადებითი გამოხმაურება მოიპოვა როგორც რადიო მსმენელებში, ასევე სოციალური ქსელის მომხმარებლებში. დაიწყო მუშაობა მომდევნო ავტორის და შესაბამისი პროდუქტის შეთანხმება-შეძენაზე. მიმდინარეობს შემეცნებით გასართობი პროგრამების წამყვანის პოზიციაზე აყვანილი სტაჟიორების სტაჟირების პროცესი. უკვე შეისწავლეს სამონტაჟო პროგრამები, სიუჟეტების ჩაწერა-მონტაჟის სპეციფიკა და რესპოდენტებთან ურთიერთობების უნარჩვევები. მომდევნო ეტაპი ღია ეთერში თანაწამყვანების ამპლუაში გადაცემების წაყვანაა. შემეცნებით გასართობი პროგრამების წამყვანის პოზიციაზე ავიყვანეთ რადიოს ყოფილი თანამშრომელი. თუმცა წამყვანების ნაკლებობის პრობლემა ამით ვერ მოიხსნა დავიწყეთ შიგა წარმოების პროგრამათშორისების გამოყენება შაბათ-

კვირის პროგრამის გასამრავალფეროვნებად. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ავტორებთან ახალი კონტენტის შექმნა-წარმოებაზე. ასევე მიმდინარეობს მუშაობა შიგა რესურსებით ახალი სეზონისთვის გადაცემების განახლების იდეებთან დაკავშირებით. პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება. მიმდინარე მოვლებიდან გამომდინარე მუსიკალურ პროგრამაში შედარებით მომრავლდა უკრაინელი შემსრულებლების მიერ ნამღერი სიმღერები უკრაინულ ენაზე. ასევე შეიცვალა რადიოს შენობის გარე ფასადზე დამონტაჟებული ბოქსების ვიზუალი უკრაინის დროშის ფერებში. ანალიტიკურ, დარგობრივ და შემეცნებით გასართობი გადაცემებში ხშირად შუქდება უკრაინაში მიმდინარე პროცესები. პერიოდულად მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია მსმენელებთან სოციალური ქსელის მეშვეობით. ეს პროცესი გვეხმარება როგოც დადებითი, ასევე უარყოფითი-გამოსასწორებელი მხარეების დადგენაში. დაფარვის ზონის და ხარისხის დაზუსტებაში.

დღემდე პრობლემად რჩება ადამიანური რესურსის ნაკლებობა. რის გამოც ვერ ხერხდება რადიოს რიგი მიმართულებების სათანადოდ წარმოჩენა. საკადრო სიმცირეს განიცდის როგორც შემოქმედებითი ჯგუფი, ასევე ანალიტიკურიც. პერიოდულად ვლინდებოდა რადიოს ფმ დიაპაზონზე მაუწყებლობის ხარვეზები.

დანართი N3: რადიოს პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის 2022 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა აქტივობები.

შემოქმედებითი მიმართულებით პირველ კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები აწარმოეს ისევ საყოველთაო პანდემიის პირობებში. განხორციელდა მივლინებები, გადაცემებისთვის მასალის მოპოვების მიზნით ქვეყნის მასშტაბით ასევე განხორციელდა მივლინებები საზღვარგარეთ. გადაცემა „ვემსახურები საქართველოს“ შემოქმედებითმა გუნდმა უკრაინაში გადაიღო ომთან დაკავშირებით რამოდენიმე გადაცემა, აღნიშნული გადაცემა პირველ კვარტალში ორჯერ იმყოფებოდა უკრაინაში. ასევე თურქეთში მივლინებით იმყოფებოდა გადაცემა „სპორტ კლუბი“ და თურქულ შეკრებაზე მყოფი ბათუმის დინამოს ამხანაგური მატჩების ტრანსლირება და რეპორტაჟები იხილა მაყურებელმა. იტალიაში მივლინებით იმყოფებოდა გადაცემა „სცენა“ სადაც ვატიკანსა და საქართველოს შორის 30 წლიანი დიპლომატიური ურთიერთობის აღსანიშნავად გაიმართა რამოდენიმე საღამო, სადაც მონაწილეობდნენ ქართველი მუსიკოსები და ბათუმის კაპელა. რამოდენიმე გადაცემა იქნა გადაღებული. ეთერში ჩაეშვა ორი სატელევიზიო პროექტი - საავტორო შემეცნებით გასართობი თოქ-შოუ „მსხალი“ და საავტორო გადაცემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი“. მომზადდა და განთავსდა საეთერო ბადეში დოკუმენტური ფილმები

იურიდიული მხარდაჭერა

2022 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - 738 (შვიდას ოცდათვრამეტი) ;

გარედან შემოსული კორესპონდენცია - 79(სამოცდაცხრამეტი).

კანცელარიიდან გაიგზავნა - 79 (სამოცდაცხრამეტი) წერილი.

რეგისტრაციაში გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 09 (ცხრა) ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) – 33(ოცდაცამეტი) ბრძანება;

პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01) – 28 (ოცდარვა) ბრძანება.

რეგისტრაციაში გატარდა - 142 (ასორმოცდაორი) მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

საფოსტო გზავნილის რაოდენობა - 11 (თერთმეტი).

სასამართლო დავები:

ა) მოსარჩელე: ალექსანდრე მითაიშვილი მოპასუხე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ჯენი კვანტალიანი დავის საგანი: თვითრეგულირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მაუწყებლის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქმეს განიხილავს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. მაუწყებლის მიერ შესაგებელი წარდგენილია კანონით დადგენილ/სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში - 2022 წლის 21 მარტს.

ბ) მოსარჩელეებმა (მაუწყებლის თანამშრომლებმა) მაია მერკვილაძემ და თეონა ხარაბაძემ წარმოადგინეს დაზუსტებული სარჩელი (მესამედ დაზუსტებული). მაუწყებელმა შესაგებელი წარადგინა კანონით დადგენილ/სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში - 2022 წლის 24 მარტს. აღნიშნულ საქმეზე სხდომა ჩანიშნული იყო 2022 წლის 15 მარტს, ვინაიდან მაუწყებელს დაზუსტებული სარჩელი ჩაბარდა 2022 წლის 14 მარტს, მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა ვიშუამდგომლეთ სხდომის გადადებაზე, რათა წარგვედგინა დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებელი. სხდომა გადაიდო.

გ) მორიგი სხდომა გაიმართა მოსარჩელე ნათია კაპანაძის საქმეზე 2022 წლის 23 მარტს. სხდომა გადაიდო 2022 წლის 13 აპრილს.

დ) სხდომა გაიმართა მოსარჩელე შორენა ღლონტის საქმეზე 2022 წლის 15 მარტს. მოსარჩელე მხარემ დააყენა მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობა. მოპასუხე მხარემ დავაყენეთ ასევე საპირწონედ მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობა.

სასამართლომ ორივე მხარის შუამდგომლობები დააკმაყოფილა. სხდომა გადაიდო 2022 წლის 20 აპრილს.

2. **ხელშეკრულებები**

ა)გაფორმდა იჯარის 6 (ექვსი) ხელშეკრულება.

ბ) გაფორმდა 5(ხუთი) ხელშეკრულება სარეკლამო კონტენტის ეთერში განთავსების შესახებ.

გ) პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმდა 5(ხუთი) ხელშეკრულება.

დ) გაფორმდა „სხვა ტიპის“ 4 (ოთხი) ხელშეკრულება (ინტერნეტის მომსახურება, სიგნალის გავრცელება, ელექტრონული ურთიერთობის შესახებ, „სამხარაულის“ ექსპერტიზა)

3. ბრძანებები

ა) სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების შესახებ გამოიცა 11(თერთმეტი) ბრძანება;

ბ) კომერციულ ანგარიშზე თანხის გადატანის შესახებ გამოიცა 1(ერთი) ბრძანება

გ) დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში გამოიცა 8(რვა) ბრძანება.

დ) სხვადასხვა საორგანიზაციო ტიპის ბრძანება („ადმინისტრაციულსამეურნეო“) – 13 (ცამეტი) ბრძანება.

ე) ძირითადი საქმიანობის შეხებ 9(ცხრა) ბრძანება, მათ შორის, ძალადაკარგულად გამოცხდდა მაუწყებელის 2(ორი) დებულება და შემუშავდა განახლებული ვერსია: თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულება, პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის დებულება.

4.სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ა) გოფრმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრთან.

ბ) მაუწყვებლის მუდმივმოქმედმა დისციპლინურმა კომისიამ აწარმოა დისციპლინური საქმეები, მათგან 8 (რვა) დასრულებულია (კომისიის თავმჯდომარე - იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი).

გ) მაუწყებელმა შეისყიდა ფაქტის კონსტატაციის მომსახურება აღსრულების ეროვნული ბიუროსგან (სტუდიების მოწყობის სამუშაობეთან დაკავშირებით)

კვარტლის ტენდერები

2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის და რადიოს მიერ პირველ კვარტალში გამოცხადდა 7(შვიდი) ტენდერი, მათ შორის: წინადადების მიღება დაწყებულია -2 (ორი) ტენდერზე, შერჩევა შეფასების ეტაპზე -2 (ორი), ხოლო 3(სამი) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

- 10 (ათი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
- 22(ოცდაორი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
- კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 5(ხუთი) ხელშეკრულება.

2021 წლის მეოთხე კვარტალში 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები

- 22(ოცდაორი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
- კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 7(შვიდი) ხელშეკრულება.

გასაჩივრდა აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში (NAT 220003802) ანტივირუსის პროგრამული პაკეტის შესყიდვის თაობაზე, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭომ დააკმაყოფილა ნაწილობრივ. საბჭოს გადაწყვეტილებით მაუწყებელს დაევალა 2022 წლის 23 თებერვლის სხდომის N1 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. ზემოთაღნიშნული ოქმით მიღებული გადაწყვეტილება სატენდერო კომისიის 2022 წლის 2022 წლის 22 მარტის ოქმი N2 -ით დარჩა ძალაში.

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა. აღნიშნული ფუნქციის გასახორციელებლად სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. **ბრძანებები;**

   სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა პირადი შემადგენლობის შესახებ **(დანიშვნა, გათავისუფლება, გადაყვანა, დეკრეტული შვებულება)** სულ - 28(ოცდარვა) ბრძანება; მათ შორის დეკრეტული შვებულების შესახებ - 10(ათი) ბრძანება; სტაჟირების გავლის შესახებ - 1 (ერთი) ბრძანება; გათავისუფლების შესახებ - 6 (ექვსი) ბრძანება; სამსახურში აყვანა/დანიშვნის შესახებ - 10(ათი) ბრძანება; სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ დასაქმებულ პირებთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შესახებ - 1(ერთი) ბრძანება;

   ასევე მომზადდა მაუწყებლის დირექტორის პირადი შემადგენლობის შესახებ **(შვებულება, მივლინება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა**) სულ - 187(ასოთხმოცდაშვიდი) ბრძანება;

2. **ხელშეკრულებები;**

   2022 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა - 21(ოცდაერთი) შრომითი ხელშეკრულება;

   ასევე მომზადდა 19(ცხრამეტი) შეთანხმება, რის საფუძველზეც ცვლილებები შევიდა შრომით ხელშეკრულებაში.

3. **ზოგადი ინფორმაცია;**

   სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ახალი ამბების სამსახურში გამოცხადდა კონკურსი ოპერატორ-მძღოლის პოზიციაზე, თუმცა აღნიშნულ კონკურში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ დაინტერესებულ პირს.

მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის პირველ კვარტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ✓ სტუდიებში მოხდა საახალწლო დეკორაციის დემონტაჟი.
- ✓ განხორციელდა საშობაო ლიტურგიის ტრანსლირება, სტუდიაში მოეწყო საკომენტატორო, საიდანაც თეოლოგი ზაზა კილაძე კომენტარს უკეთებდა პირდაპირ რეპორტაჟს.
- ✓ პროგრამული ბადის მიხედვით მოხდა პირდაპირ ეთერში საინფორმაციო, სპორტული ღონისძიებები, კონცერტები და შემოქმედებითი გადაცემების ტრანსლირება.
- ✓ მოძრავი სატელევიზიო სადგურით ლაივების და გადაცემების ჩაწერა.

- ,,ქუჩის მუსიკოსები ''გალა კონცერტის პირდაპირი ტრანსლირება, გნოლიძე და იმედის ბენდი, შობის ლიტურგიის პირდაპირი ბათუმის საკათედრო ტაძრიდან, კახა ცისკარიძე ორი კონცერტის ლაივი .გადაცემა ,, მსხალი'' ს ჩაწერა,
- რეგულარულად მიმდინარეობს დინამო ბათუმის მატჩების ტრანსლირება.
- სტუდიების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო მოხდა სტუდია 2 -ის ადაპტირება საინფორმაციო გამოშვებების ტრანსლაციებისთვის. დამზადდა შესაბამის ფორმატის ბექრაუნდები, დაიდგა დამატებითი მონიტორი, განახლდა დაზიანებული მაგიდები.
- უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო მოხდა დაუგეგმავი სპეციალური გამოშვებების ტრანსლირება, სტუდია 2-ის მონიტორებისთვის და დამატებით ორი მონიტორისთვის დამზადდა შესაბამისს ფორმატებში ბექრაუნდები უკრაინის დროშის ფერებში. დამზადდა და საეთერო პულტში ჩაიწერა არხის ლოგო უკრაინის და საქართველოს დროშის ფერებში. ეთერს დაემატა ორი საინფორმაცი გამოშვება, რომელიც ეთერში გადის ყველა სამუშაო დღეს 10:00 და 22:00 -ზე. ამავე მიზეზით სამხედრო-ანალიტიკური გადაცემა ,,ვემსახურები საქართველოს'' -ნაცვლად ჩანაწერისა, გადის პირდაპირ ეთერში. უკრაინიდან, განხორციელდა არაერთი პირდაპირი ჩართვა, როგორც პირდაპირი ჩართვის აპარატით ასევე ფეისბუქლაივით, სკაიპით და სხვა ონლაინ საშუალებებით.
- დილის და შუადღის გადაცემებისთვის მომზადდა სტუდიის შესამაბისი დეკორაციები. ყოველდღიურ რეჟიმში ვამზადებთ სტუდიას შესაბამისი გადაცემებისთვის, იცვლება დეკორაციები და განათებები.(სამსახურში ავიყვანეთ დეკორატორი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისს სამუშაოს შესრულებას).
- განახლდა სურდო თარჯიმნის ბექრაუნდი -საინფორმაციო გამოშვებების ფერებში.
- სტუდია 1-ში მოეწყო მცირე სტუდია პირდაპირი ჩართვებისთვის - დაიდგა სუფლიური, მოეწყო განათება და გახმოვანება.
- თანამშრომლების წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით გაიცა წამახალისებელი ფინანსური დანამატები.
- 2 აპრილს გაიმართა რიგგარეშე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიი. 2 და 3 აპრილს მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურმა იმუშავა უწყვეტ რეჟიმში დილის 07.00-დან 24:00-მდე.

გაცნობებთ, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოცხადდა სტაჟირების პროგრამა, რაც მოიცავს შემდეგი თაობის პროფესიონალების მომზადებას და მათ ჩართვას მედიაორგანიზაციის საქმეებში. სტაჟირებას დღემდე გადიან სხვადასხვა სამსახურებში.

საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

მაუწყებელი ღია ერთობლივი პროექტებისა და თანამშრომლობისათვის. განაგრძობს თანამშრომლობას „ამერიკის ხმასთან“.

მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკურ სამსახურში განხორციელებული საქმიანობის ჩამონათვალი.

გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილება

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). FM გადამცემ სადგურს და მარალი ძაბვის ტრანსფორმატორს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, გადამცემზე სიგნალის მიწოდება ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით. გადამცემი მუშაობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე. დიზელ-გენერატორის საწვავის ავზში ჩაისხა 300 ლიტრი დიზელის საწვავი. ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალ სატელიტური რესივერი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 106,1 მგ ჰერცის სიხშირეზე. შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატელიტური რესივერი. დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 106,0 მგ ჰერცის სიხშირეზე. შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე. ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, გამოიცვალა სატელიტური ანტენა. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,1 მგ ჰერცის სიხშირეზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ

ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 96,1 მგ ჰერცის სიხშირეზე. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილქტიკური სამუშაოები, (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). დღეისთვის მაუწყებლობა მიმდინარეობს 104,5 მგ ჰერცის სიხშირეზე. თბილისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). დამონტაჟდა ლეპტოპი, აუდიო სიგნალის ინტერნეტის საშუალებით უზრუნველყოფისათვის. მაუწყებლობა ხორციელდება 90,2 სიხშირეზე. ლაგოდეხის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატე-ლიტური რესივერი. მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე. გორის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 94,1 სიხშირეზე. ქუთაისის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 99,3 სიხშირეზე. ზუგდიდის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გამოიცვალა სატელი-ტური რესივერი. მაუწყებლობა ხორციელდება 97,1 სიხშირეზე. ფოთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, (ორ თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). მაუწყებლობა ხორციელდება 90,7 სიხშირეზე. გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად და 2022 წლის მარტში მოწოდებული იქნა ორი ცალი FM გადამცემი და ანტენები

სტუდიებისა და მსს - ის განყოფილება

- შემოქმედების და ახალი ამბების სამსახურის განათებას, პეტლიჩკებს, შტატივებს და კამერებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები;
- შევიძინეთ სუფლიორი 4 (ოთხი) ცალი.;
- შევიძინეთ ვიდეო კაბელები და BNC კონექტორები;
- სტუდია 3-ში დამონტაჟდა საკაბელო არხები;

- გარემონტდა ლაივუ 300. 6. გარემონტდა ხმის ჩამწერი როლანდი;
- მოკვლევა დასრულებულია და მომზადდა სატენდერო წინადადებები კამერების, დინამიკების, ტელევიზორების, აკუმულატორების, პირდაპირი ჩართვის აპარატების შესყიდვაზე და ტელევიზიის ტექნიკის შეკეთებაზე.

მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში.

სამომავლო რისკები და გამოწვევები

მომდევნო კვარტალში უნდა შედგეს დაგეგმილი ტენდერები და გამართული ფუნქციორებისთვის შევიძინოთ ტექნიკა.

გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის

გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის მომდევნო თვეების განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებლის ამოცანებია:

- ტექნიკის შეძენა;
- თბილისის ბიუროს ინფასტრუქტურის საკითხებზე მუშაობა;
- სატელევიზო გადაცემა ბიზნესისა და ეკონომიკის შესახებ მომზადება;
- არხის შეფუთვაზე მუშაობა;

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2022 წლის პირველი კვარტალის

ფინანსური ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის პირველ კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 3.415.965,00 ლარს, ფაქტიურად დაიხარჯა 2.715.306,92 ლარი. გეგმის შესრულების მაჩვენებელი 3 თვის მდგომარეობით შეადგენს 79,49%-ს.
მათ შორის:

- **სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან 2022 წლის პირველ კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 3.362.965,00 ლარს, ფაქტიურად დაიხარჯა 2.678.310,45 ლარი. გეგმის შესრულების მაჩვენებელი 3 თვის მდგომარეობით შეადგენს 79,64%-ს.**

- **ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2022 წლის პირველ კვარტალში გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 53.000,00 ლარს, გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 36.996,47 ლარს. გეგმის შესრულების მაჩვენებელი 3 თვის მდგომარეობით შეადგენს 69,80%-ს.**

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N1).

2022 წლის პირველ კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების თანხა შეადგენს 35.309,57 ლარი.
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N2).

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის I კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ
სულ	710.328,29	698.979,60	1.269.002,56	2.678.310,45	0,00	3.847,66	33.148,81	36.996,47
მრჩეველთა საბჭო	25.967,27	24.989,45	25.363,28	76.320,00	0,00	56,00	56,00	112,00
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	20.470,00	20.470,00	20.470,00	61.410,00	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	4.350,00	4.350,00	4.750,00	13.450,00	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	960,00	0,00	0,00	960,00	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური სატელეფონო მომსახურება	0,00	169,45	143,28	312,73	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური სატელეფონო მომსახურება/ნაშთიდან	187,27	0,00	0,00	187,27	0,00	0,00	0,00	0,00
კანცელარიის პროგრამული მომსახურების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	56,00	56,00	112,00
ადმინისტრაცია	242.081,98	233.568,28	369.896,18	845.546,44	0,00	1.513,00	2.806,60	4.319,60
თანამდებობრივი სარგო	133.766,58	135.449,99	130.457,15	399.673,72	0,00	0,00	0,00	0,00
პრემია (შტატი)/ნაშთიდან	0,00	0,00	20.000,00	20.000,00	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	41.632,11	49.966,42	49.998,58	141.597,11	0,00	0,00	0,00	0,00
პრემია (შტატგარეშე)/ნაშთიდან	0,00	0,00	76.000,00	76.000,00	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატი)	868,42	0,00	3.492,86	4.361,28	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე)	907,89	0,00	0,00	907,89	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	0,00	220,00	75,00	295,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამშრომელთა დაზღვევა	9.780,00	10.060,00	10.165,00	30.005,00	0,00	0,00	0,00	0,00
ბეჭდვითი მომსახურება (სამსახ. მოწმობები (ბეიჯი), ტურნიკეტის ბარათები, სერტიფიკატები, სავიზიტო ბარათები და სხვა)	0,00	0,00	5,00	5,00	0,00	0,00	0,00	0,00
მარაგების აღრიცხვის და კანცელარიის კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	264,00	264,00	528,00
საბუღალტრო პროგრამის განახლება/მომსახურება	2.400,00	0,00	0,00	2.400,00	0,00	0,00	0,00	0,00
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	0,00	0,00	28,80	28,80	0,00	0,00	0,00	0,00
საოფისე ავეჯის შეძენა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	69,00	279,00	348,00
გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	1.180,00	0,00	1.180,00
სამეურნეო საქონლის და სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	0,00	326,90	238,00	564,90	0,00	0,00	0,00	0,00
პირველადი ბატარეები და ელემენტები	1.054,45	0,00	4.949,39	6.003,84	0,00	0,00	0,00	0,00
კოვიდტესტების ლაბორატორიული მომსახურება, სანიტარულ-ჰიგიენური და სამედიცინო საშუალებები	0,00	0,00	999,00	999,00	0,00	0,00	2.263,60	2.263,60
ფარმაცევტული პროდუქტები, სადეზინფექციო საშუალებები და შენობების სადეზინფექციო სამუშაოები	2.105,00	690,00	0,00	2.795,00	0,00	0,00	0,00	0,00
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	0,00	0,00	701,56	701,56	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური ტელეფონების ხარჯი	0,00	2.305,15	2.426,66	4.731,81	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური ტელეფონების ხარჯი/ნაშთიდან	2.691,17	0,00	0,00	2.691,17	0,00	0,00	0,00	0,00
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	0,00	2.307,42	2.630,00	4.937,42	0,00	0,00	0,00	0,00
სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი	0,00	1.500,00	3.000,00	4.500,00	0,00	0,00	0,00	0,00
საფოსტო მომსახურება/ნაშთიდან	0,00	45,26	0,00	45,26	0,00	0,00	0,00	0,00
ელ.ენერგიის ხარჯი (ანძების ჩათვლით)	9.822,36	12.024,37	12.638,25	34.484,98	0,00	0,00	0,00	0,00
წყალის და წყალანირების ხარჯი	0,00	403,58	697,62	1.101,20	0,00	0,00	0,00	0,00
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი	0,00	0,00	404,00	404,00	0,00	0,00	0,00	0,00
დასუფთავების მოსაკრებელი/ნაშთიდან	129,75	0,00	0,00	129,75	0,00	0,00	0,00	0,00
მაუწყებლის შენობის და ომბალაურის გადამცემი სადგურის დიზელ-გენერატორების საწვავის შეძენის ხარჯი	0,00	0,00	586,00	586,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	0,00	88,00	88,00	176,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკორესპოდენტო ბიურო(ებ)ს ოფისის დაქირავების ხარჯი	450,00	900,00	2.700,00	4.050,00	0,00	0,00	0,00	0,00
საწვავი (ავტომანქანებზე)	0,00	13.433,12	3.365,22	16.798,34	0,00	0,00	0,00	0,00
საწვავი (ავტომანქანებზე)/ნაშთიდან	17.123,95	0,00	0,00	17.123,95	0,00	0,00	0,00	0,00
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	135,00	2.216,88	6.486,48	8.838,36	0,00	0,00	0,00	0,00
GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურება	0,00	400,76	402,30	803,06	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი/მანქანის აკუმულატორები/ზეთები/ფილტრები	113,60	213,75	980,00	1.307,35	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების ტექ.დათვალიერების/ინსპექტირების ხარჯი	0,00	0,00	60,00	60,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების პარკირების ხარჯი	600,00	600,00	300,00	1.500,00	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების დაზღვევა	0,00	286,68	258,91	545,59	0,00	0,00	0,00	0,00
დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან	0,00	0,00	75,00	75,00	0,00	0,00	0,00	0,00
ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა (დამუშავება)	0,00	0,00	300,00	300,00	0,00	0,00	0,00	0,00
შენობის დაცვა (ორბელიანის ქუჩა)	1.032,50	0,00	2.065,00	3.097,50	0,00	0,00	0,00	0,00
ადმინისტრაციული შენობის დაცვა	16.600,00	0,00	33.200,00	49.800,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატენდერო/აუქციონის განცხადებების, ქონების რეგისტრაციის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საფასური და სხვა	750,00	0,00	0,00	750,00	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება)	6,00	16,80	16,80	39,60	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელ. მომსახურება)	113,20	113,20	105,60	332,00	0,00	0,00	0,00	0,00
ახალი ამბები	140.014,37	131.073,57	129.127,22	400.215,16	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	129.970,27	125.159,57	125.702,22	380.832,06	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	669,74	799,00	3.250,00	4.718,74	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	9.329,36	5.115,00	175,00	14.619,36	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება/ნაშთიდან	45,00	0,00	0,00	45,00	0,00	0,00	0,00	0,00

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	232.852,80	214.728,56	532.306,08	979.887,44	0,00	420,00	26.902,09	27.322,09
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	205.629,68	202.997,04	205.936,43	614.563,15	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	10.050,12	0,00	0,00	10.050,12	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება	6.770,00	10.635,52	28.867,60	46.273,12	0,00	0,00	0,00	0,00
წამყვანების ჩაცმულობა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	100,00	436,00	536,00
შეკვეთით ნაბეჭდი მასალის, ბანერების ბეჭდვა-დამზადება (ლაითბოქსების ვიზუალის/ფირების ბეჭდვა, ბრენდირება	0,00	36,00	780,00	816,00	0,00	0,00	0,00	0,00
სარეკლამო ბანერის განთავსება (ბილბორდი)	403,00	0,00	767,00	1.170,00	0,00	0,00	0,00	0,00
ბრენდირებული საქონელი და ატრიბუტიკა	0,00	1.060,00	3.280,00	4.340,00	0,00	0,00	3.070,00	3.070,00
სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	388,78	388,78
ნამზადების შეძენა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	320,00	7,31	327,31
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა	0,00	0,00	76.999,90	76.999,90	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა/გახმოვანება	0,00	0,00	209.475,00	209.475,00	0,00	0,00	23.000,00	23.000,00
საავტორო უფლებების შესყიდვა/მუსიკალური ნაწარმოები (ფონი)	10.000,00	0,00	0,00	10.000,00	0,00	0,00	0,00	0,00
კოსმეტიკური საშუალებების შეძენა (სტილისტი+ვიზაჟისტი)	0,00	0,00	1.853,00	1.853,00	0,00	0,00	0,00	0,00
საავტორო უფლებების ჰონორარი	0,00	0,00	4.347,15	4.347,15	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	37.190,00	37.433,57	41.862,19	116.485,76	0,00	0,00	0,00	0,00
შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	37.190,00	35.444,10	33.594,76	106.228,86	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	0,00	1.989,47	1.257,14	3.246,61	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო სიგნალის ტრანსლაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგი (არარეზიდენტის მოგების გადასახადთან ერთად)	0,00	0,00	1.810,29	1.810,29	0,00	0,00	0,00	0,00
გარეწარმოების გადაცემების შესყიდვა	0,00	0,00	5.200,00	5.200,00	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკური უზრუნველყოფა	27.306,67	52.227,78	164.830,82	244.365,27	0,00	0,00	45,00	45,00
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	0,00	20.438,00	40.876,00	61.314,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოსიგნალის სარელეო ხაზით გავრცელების საფასური	0,00	870,00	1.740,00	2.610,00	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოგადამცემების სადგურების განთავსების იჯარა	0,00	3.844,00	7.688,00	11.532,00	0,00	0,00	0,00	0,00
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)	24.576,00	24.143,20	25.819,20	74.538,40	0,00	0,00	0,00	0,00
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	2.730,67	2.682,58	2.868,80	8.282,05	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება	0,00	0,00	187,50	187,50	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის HD გავრცელება სილქტივის საკაბელო ტელევიზიის ქსელში	0,00	250,00	250,00	500,00	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო გადამცემი სადგურისათვის მარაგ-ნაწილების შეძენა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	45,00	45,00
ვიდეო სიგნალის კონვერტორი	0,00	0,00	27.309,92	27.309,92	0,00	0,00	0,00	0,00
სუფლიორის შეძენა	0,00	0,00	22.455,40	22.455,40	0,00	0,00	0,00	0,00
FM რადიოგადამცემ(ებ)ის კომპლექტის შეძენა/ნაშთიდან	0,00	0,00	35.636,00	35.636,00	0,00	0,00	0,00	0,00
სხვა გადასახდელები	4.915,20	4.958,39	5.616,79	15.490,38	0,00	1.858,66	3.339,12	5.197,78
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	4.915,20	4.828,64	5.487,04	15.230,88	0,00	0,00	13,16	13,16
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	1.858,66	3.225,96	5.084,62
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე - მოსაკრებელი/აღსრულების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	100,00	100,00
დასუფთავების მოსაკრებელი	0,00	129,75	129,75	259,50	0,00	0,00	0,00	0,00

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2022 წლის I კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

დასახელება	თანხა
შემოსავლები სატელევიზიო ეთერში ბანერის, პროდუქტის და სასპონსორო ტიხრების განთავსების მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	2.800,00
შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით)	11.964,48
შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	20.545,09
სულ	35.309,57